

სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტი“

ფინანსური ანგარიშგება

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	i
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	ii-iv
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9-34

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯნვის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან, წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 28 მარტს:

თამაზ ხიზანიშვილი

დირექტორი

ხათუნა გვილავა

მთავარი ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „კავკასრეესტრის“ აქციონერებსა და მენეჯმენტს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „კავკასრეესტრის“ („კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ას-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ბესსს „*პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის*“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ (ბესსს-ის) ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს

თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

28 მარტი 2019

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	3	147,336	143,303
საფონდო ბირჟის მომსახურების ხარჯი	3	(442)	(34,283)
სულ წმინდა საოპერაციო შემოსავალი	3	146,894	109,020
ხელფასის ხარჯი	4	(88,731)	(95,525)
საკონსულტაციო ხარჯი	5	(40,607)	(26,838)
ფინანსური აქტივის გაუფასურების ხარჯი	6	(17,723)	(998)
ოფისის იჯარის ხარჯი		(18,575)	(18,168)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	10	(4,566)	(4,527)
ფინანსური შემოსავალი	7	4,076	7,028
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/ზარალი	8	8,055	(17,841)
სხვა ხარჯები	9	(25,641)	(16,728)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		5,543	-
წლის ზარალი		(31,275)	(64,577)
მოგების გადასახადი		-	(258)
წმინდა ზარალი		(31,275)	(64,835)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(31,275)	(64,835)
შემოსავალი ერთ აქციაზე		ლარი	ლარი
საბაზისო	17	(2.14)	(4.44)

თამაზ ხიზანიშვილი

დირექტორი

ხათუნა გვილავა

მთავარი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

	შენიშვნა	12.31.2018 ლარი	12.31.2017 ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10 ა	5,675	8,894
არამატერიალური აქტივები	10 ბ	10,652	10,399
ინვესტიცია ფასიან ქალაქებში	11	54,085	54,085
სულ გრძელვადიანი აქტივები		70,412	73,378
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი		14,650	38,420
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	12	161,734	-
დებიტორული დავალიანება	13	13,857	8,126
ფული და ფულის ექვივალენტები	14	68,973	245,066
სულ მიმდინარე აქტივები		259,214	291,612
სულ აქტივები		329,626	364,990
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	14,600	14,600
გაუნაწილებელი მოგება		306,677	337,952
სულ კაპიტალი		321,277	352,552
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდები	15	609	2,352
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	7,740	10,086
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,349	12,438
სულ ვალდებულებები		8,349	12,438
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		329,626	364,990

თამაზ ხიზანიშვილი

დირექტორი

ხათუნა გვილავა

მთავარი ბუღალტერი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სულ კაპიტალი ლარი
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		14,600	496,957	511,557
წლის ზარალი		-	(64,835)	(64,835)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	(64,835)	(64,835)
დივიდენდის გაცემა		-	(94,170)	(94,170)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		14,600	337,952	352,552
წლის ზარალი		-	(31,275)	(31,275)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
წლის სრული შემოსავალი		-	(31,275)	(31,275)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		14,600	306,677	321,277

თამაზ ხიზანიშვილი

დირექტორი

ხათუნა გვილავა

მთავარი ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები		157,781	153,129
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(174,118)	(208,193)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		(16,337)	(55,064)
მიღებული პროცენტი		1,313	7,028
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(259)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(15,024)	(48,295)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გრძელვადიანი ობლიგაციების შეძენა		(157,944)	181,677
ძირითადი საშუალებების გაყიდვა/შეძენა		(1,442)	(511)
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(159,386)	181,166
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
დივიდენდის გაცემა		(1,743)	(93,525)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,743)	(93,525)
ფული და ფულის ექვივალენტები			
1 იანვრის მდგომარეობით		245,066	223,561
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		(176,153)	39,346
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		60	(17,841)
31 დეკემბრის მდგომარეობით		68,973	245,066

თამაზ ხიზანიშვილი

დირექტორი

ხათუნა გვილავა

მთავარი ბუღალტერი

1 ანგარიშის წარმდგენი პირი

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 1998 წლის 10 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №74ა. კომპანია (სახელმწიფო რეგისტრაციის #5ა/5-58) საქმიანობას ეწევა 2000 წლის 26 იანვარს გაცემული #70002 ლიცენზიით. აღნიშნული ლიცენზიის საფუძველზე, კომპანია სააქციო საზოგადოებებს (ემიტენტებს) სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებებს როგორც ოფისში, ასევე უშუალოდ ემიტენტებთან, უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების რეესტრის ფორმირებას, კონსოლიდაციას, საჯარო და არასაჯარო ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების (ემისიის განთავსება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, გირავნობა, ბლოკირება, და ა.შ.) დარეგისტრირებას. კომპანია ახდენს ფასიანი ქაღალდების რეესტრების დაცულ წარმოებას, მონაცემთა ბაზების დაარქივებას და შენახვას. ასევე, კლიენტის მოთხოვნით, აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას, კრებაზე დასწრებასა და ხმების დათვლას, კანონმდებლობის გათვალისწინებით, ფასიანი ქაღალდებზე სატენდერო შეთავაზებისა და სავალდებულო მიყიდვის პროცედურებში მონაწილეობას.

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2 ანგარიშგების მომზადების საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა

(ა) ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი

აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ემყარება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)

- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ფასს 9:

კომპანიამ ფასს 9 დანერგა 2018 წლის 1 იანვრიდან. სტანდარტით წარადგინა ფინანსური აქტივების ახალი კლასიფიკაციისა და შეფასები მოდელები.

ფინანსური აქტივი შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს). მიუხედავად ამ მოთხოვნებისა, ფინანსური აქტივი შეიძლება შეუცვლელად იყოს რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით, რათა შეამციროს ეფექტი, ან აღმოფხვრას აღრიცხვაში შეუსაბამობა.

მოგებაში ან ზარალში ასახვით, რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისთვის, სტანდარტი მოითხოვს რომ რეალურ ღირებულებაში ცვლილება, რომელიც უკავშირდება საწარმოს საკრედიტო რისკს, აისახოს სხვა სრულ შემოსავალში (OCI-ში), თუ ეს არ წარმოშობს აღრიცხვაში შეუსაბამობას). ახალი გამარტივებული ჰეჯირების აღრიცხვა მიზნად ისახავს საბუღალტრო გატარებების უფრო მჭიდროდ დაკავშირებას კომპანიის რისკ-მენეჯმენტის საქმიანობასთან.

განახლებული ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნები იყენებს "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის" ("ECL") მოდელს რეზერვის შეფასებისთვის. გაუფასურება ფასდება 12 თვიანი ECL მეთოდის გამოყენებით, თუ საფინანსო ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, რომლის დროსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ECL მეთოდია უკვე დანერგილი.

სს „კავკასრეესტრი“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

სავაჭრო მოთხოვნებისთვის, კომპანია იყენებს საკრედიტო ზარალის შეფასების გამარტივებულ მიდგომას, რაც გულისხმობს რეზერვის შექმნას აქტივების მთლიანი სასიცოცხლო ვადის მანძილზე.

ფასს 15:

კომპანიას „ფასს 15“ 2018 წლის 1 იანვრიდან აქვს დანერგილი. სტანდარტი განსაზღვრავს შემოსავლების აღიარების ერთიან მოდელს.

სტანდარტის ძირითადი პრინციპია ის, რომ საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

სტანდარტში წარმოდგენილია ახალი, კონტრაქტზე დაფუძნებული, შემოსავლების აღიარების მოდელი შეფასების ისეთი მეთოდით, რომელიც ეფუძნება გარიგების ფასის მიკუთვნებას. ეს აღწერილია შემდგომში ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში. საკრედიტო რისკი წარმოდგენილია ცალკე როგორც ხარჯი, ვიდრე კორექტირებული ამონაგების შემოსავლის შეპირისპირებულად.

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, სახელშეკრულებო აქტივი, ან მოთხოვნა, რაც დამოკიდებულია საწარმოს შესრულების ტიპზე და კლიენტის გადახდაზე. კლიენტის მოზიდვის, ასევე ხელშეკრულების შესასრულებლად გაწეული ხარჯები, რომლებიც გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, შესაძლებელია დაკაპიტალიზირდეს, როგორც აქტივი და ამორტიზირდეს ხელშეკრულების პერიოდის განმავლობაში.

ახალი სტანდარტების დანერგვის გავლენა

ფასს 9 და ფასს 15 მიღებულ იქნა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მათ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ ჰქონია.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს

ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია მას შემდეგ, რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვევო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადგენ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვევო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვევო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვევო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ბ) შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ

ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორც კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

(გ) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა ხდება დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	20% წრფივი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	14% წრფივი

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საიჯარო აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარის აღებასთან დაკავშირებით მიღებული წახალისება აღირიცხება როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, წრფივი მეთოდით, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

(დ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის გადასახადს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას, როგორც ეს დადგენილია ქვემოთ.

(ე) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება - ზარალში.

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით)

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორ სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL) ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

(ზ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	USD	EUR	GBP
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.68	3.07	3.40
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.59	3.10	3.50
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.53	2.99	3.38
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.51	2.83	3.23

(თ) მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

(ი) ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს მას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან

სს „კავკასრეესტრი“
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

(კ) კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისიო კაპიტალში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად, მათი გამოცხადების მომენტისთვის (ანუ არსებობს დივიდენდებზე სათანადო უფლებამოსილება და ისინი აღარ წარმოადგენენ სუბიექტის უფლებას). შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

სს „კავკასრეესტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 განმარტებითი შენიშვნები

3. მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი

	2018 ლარი	2017 ლარი
ემიტენტების აქციების გასხვისებისგან მიღებული საკომისიო შემოსავალი	60,458	23,458
სააბონენტო შემოსავალი ემიტენტებიდან	64,118	62,024
ბირჟაზე გარიგების დაფიქსირების საკომისიო	325	34,287
სხვა საოპერაციო შემოსავლები	22,435	23,534
სულ	147,336	143,303
საფონდო ბირჟის მომსახურების ხარჯი	(442)	(34,283)
წმინდა მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	146,894	109,020

4. ხელფასის ხარჯი

	2018 ლარი	2017 ლარი
ხელფასი	(82,840)	(89,794)
პრემია	(5,891)	(5,731)
სულ	(88,731)	(95,525)

5. საკონსულტაციო ხარჯი

	2018 ლარი	2017 ლარი
იურიდიული მომსახურება	(33,259)	(20,694)
საბუღალტრო და სხვა მომსახურება	(6,218)	(5,000)
პერსონალის ტრენინგი	(1,130)	(1,144)
სულ	(40,607)	(26,838)

6. ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის ზრდა/შემცირება

	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ლარი	დებიტორული დავალიანება ლარი	სულ ლარი
2016 წლის 31 დეკემბერი	-	(34,870)	(34,870)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი	-	6,585	6,585
ამოღებული თანხები	-	(26,378)	(26,378)
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	-	(998)	(998)
2017 წლის 31 დეკემბერი	-	(55,661)	(55,661)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი	-	45,956	45,956
ამოღებული თანხები	-	2,917	2,917
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(1,634)	(19,006)	(20,640)
2018 წლის 31 დეკემბერი	(1,634)	(25,794)	(27,428)

სს „კავკასრეესტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 განმარტებითი შენიშვნები

7. ფინანსური შემოსავალი

	2018	2017
	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავალი ფასიანი ქაღალდებიდან	2,764	3,735
საპროცენტო შემოსავალი მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტებიდან	1,312	3,293
სულ	4,076	7,028

8. კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/ზარალი

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	19,165	8,125	7,344	34,634
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(19,105)	(5,554)	(1,920)	(26,579)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი) 2018 წლის განმავლობაში	60	2,571	5,424	8,055

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	37,216	18,716	4,070	60,002
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(39,881)	(19,061)	(18,901)	(77,843)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი) 2017 წლის განმავლობაში	(2,665)	(345)	(14,831)	(17,841)

9. სხვა ხარჯები

	2018	2017
	ლარი	ლარი
ჯარიმა	(8,300)	-
კომუნალური ხარჯი	(5,725)	(5,545)
მონაცემთა ბაზით სარგებლობის ხარჯი	(4,002)	-
დაზღვევა	(2,700)	(1,181)
ავტორიზაციის უფლების ხარჯი	(1,500)	-
საფოსტო ხარჯი	(1,269)	(7,639)
სხვადასხვა მომსახურების ხარჯები	(2,145)	(2,363)
სულ	(25,641)	(16,728)

სს „კავკასრეესტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 განმარტებითი შენიშვნები

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ა) ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	26,564	4,600	31,164
შეძენა	511	-	511
გასვლა	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	27,075	4,600	31,675
შეძენა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	27,075	4,600	31,675
ცვეთა და გაუფასურება			
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(19,270)	(862)	(20,132)
ცვეთა წლის მანძილზე	(1,958)	(690)	(2,648)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(21,228)	(1,552)	(22,780)
ცვეთა წლის მანძილზე	(2,530)	(690)	(3,220)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(23,758)	(2,242)	(26,000)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	7,293	3,738	11,031
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,846	3,048	8,894
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,317	2,358	5,675

კომპანიას გააჩნია სრულად ამორტიზირებული ძირითადი აქტივები რომელთა ჯამური ღირებულება 15,267 ლარია.

სს „კავკასრეესტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 განმარტებითი შენიშვნები

ბ) არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ლიცენზია	კომპიუტერული პროგრამები	სულ
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	450	19,794	20,244
შემენა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	450	19,794	20,244
შემენა	-	1,600	1,600
გასვლა	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	450	21,394	21,844
ცვეთა და გაუფასურება			
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(450)	(7,517)	(7,967)
ცვეთა წლის მანძილზე	-	(1,879)	(1,879)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(450)	(9,396)	(9,846)
ცვეთა წლის მანძილზე	-	(1,346)	(1,346)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(450)	(10,742)	(11,192)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	11,707	11,707
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	10,399	10,399
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	10,652	10,652

კომპანიას აქვს სრულად ამორტიზირებული ლიცენზია ღირებულებით 450 ლარი.

11. ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში

კომპანია ფლობს სს „საქწყალპროექტის“ აქციათა 1.64%-ს, 2018 წლის განმავლობაში მიღებული დივიდენდი იყო - 2,732 ლარი. კომპანია 2017 წლის 31 დეკემბრამდე ხელმძღვანელობდა ბასს 39-ით რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ფინანსურ აქტივს ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგენდა დანახარჯების მეთოდით. 2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული ფასს 9-ის მიხედვით კომპანია ვალდებულია მსგავსი ფინანსური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგინოს სამართლიანი ღირებულებით. ვინაიდან რეალური ღირებულების შესაფასებლად საჭირო ახალი ინფორმაცია არ არის კომპანიისთვის ხელმისაწვდომი, ხელმძღვანელობამ გამოიყენა ფასს 9 ის ბ5.2.3 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის უფლება და რეალური ღირებულების მართებულ შეფასებად მიიჩნია თვითღირებულება, როგორც 2018 წლის 1 იანვრის, ასევე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

12. დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები

კომპანიის დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები მოიცავს შემდეგ ფინანსურ აქტივებს

	ვალუტა	საწყისი თანხა ვალუტაში	დაფარვის ვადა	სარგებელი	31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი
საინვესტიციო ჯგუფი "ბიჯეო"	აშშ დოლარი	60,000	09.09.2019	5.50%	163,368	-
სულ გაუფასურების რეზერვამდე					163,368	-
გაუფასურების ანარიცხი (იხ. შენიშვნა 6)					(1,634)	-
წმინდა დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები					161,734	-

შემოსავლები დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებიდან იხილეთ მე-7 განმარტებით შენიშვნაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დაფარვის ვადამდე ფლობილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

13. დებიტორული დავალიანება

	31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი
დებიტორული მოთხოვნები	36,005	61,287
წინასწარ გადახდილი თანხები	3,646	2,500
საექვო მოთხოვნების რეზერვი*	(25,794)	(55,661)
სულ	13,857	8,126

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

*რეზერვი შექმნილია მხოლოდ დებიტორული დავალიანებისთვის დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა 2017-სა და 2018 წლის განმავლობაში იხილეთ შენიშვნა #6-ში

14. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1,011	723
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	31,235	8,564
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	722	415
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	-	105
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	36,005	235,259
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	68,973	245,066

თიბისი ბანკის სადეპოზიტო ანგარიშზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებულია 35,936 ლარი (13,426.14 დოლარი) ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 120,781.56 ლარი რომელსაც ერიცხება წლიური 5.5 %. მიმდინარე

სს „კავკასრეესტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 განმარტებითი შენიშვნები

უცხოური ვალუტის სადეპოზიტო ანგარიშზე დარიცხულმა სარგებელმა 2018 წელს შეადგინა 613 ლარი ხოლო 2017 წელს - 828 ლარი.

ფინკა ბანკის სადეპოზიტო ანგარიშზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებულია 69 ლარი (26 დოლარი) ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 114,481 ლარი რომელსაც ერიცხება წლიური 1 %. მიმდინარე უცხოური ვალუტის სადეპოზიტო ანგარიშზე დარიცხულმა სარგებელმა 2018 წელს შეადგინა 699 ლარი ხოლო 2017 წელს - 1,096 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის

15. სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება 15,000 ცალი 1 ლარის ნომინალური ღირებულების მქონე ჩვეულებრივი აქციისგან, რომელთაგან 400 ცალი გამოსყიდული აქვს კომპანიას 5,000 ლარად. კომპანიამ ამ გამოსყიდვის შედეგად ნომინალურ ღირებულებაზე ზედმეტად გადახდილი თანხით 4,600 ლარით შეამცირა გაუნაწილებელი მოგება.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას აქციონერებზე დივიდენდი არ გაუნაწილებია (2017: 94,170 ლარი)

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	5,852	8,022
მიღებული ავანსები	1,815	2,064
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	73	-
სულ	7,740	10,086

17. შემოსავალი ერთ აქციაზე

	2018 ლარი	2017 ლარი
მრიცხველი: კაპიტალით მიღებული შემოსავალი		
წლის მოგება/ზარალი	(31,274)	(64,836)
სულ წლის მოგება	(31,274)	(64,836)
	აქციათა რაოდ.	აქციათა რაოდ.
მნიშვნელი: აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა		
აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	14,600	14,600
შემოსავალი ერთ აქციაზე		
საბაზისო	(2.14)	(4.44)

აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა მიუთითებს მიმოქცევაში არსებულ აქციებზე პერიოდის განმავლობაში.

18. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

2015 წლის ოქტომბერში, კომპანიას გაფორმებული აქვს საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება, იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა არის 3 წელი.

წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე მხარეები ერთმანეთს წერილობით ატყობინებენ ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ. თუ არც ერთი მხარე წერილობით არ გამოთქვამს სურვილს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გრძელდება 1 წლის ვადით.

კომპანია მომავალში გადაიხდის საიჯარო გადასახადს შეუქცევად საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებით, შემდეგი მინიმალური ოდენობით 5 ოქტომბრის მდგომარეობით:

	2018 ლარი	2017 ლარი
ერთი წლის ვადაში	19,272	14,250
ერთ წელზე მეტი, მაგრამ ხუთი წლის ვადაში	-	-

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

19. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	68,973	245,066
დებიტორული დავალიანება	13,857	8,126
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიცია	161,734	-
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	54,085	54,085
სულ ფინანსური აქტივები	298,649	307,277
ფინანსური ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	7,740	10,086
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,740	10,086

საკრედიტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკის საფრთხეს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით. მომხმარებლის საკრედიტო ლიმიტების დაწესების დროს გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოები, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები	67,962	244,343
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	161,734	-
დებიტორული დავალიანება	13,857	8,126
ინვესტიციები ფასიან ქალაქებში	54,085	54,085

როგორც შენიშვნა 12 განმარტავს, ფული და ფულის ექვივალენტის ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისა და დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებისათვის. დებიტორული დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ.
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარაჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2018 წლის დასაწყისში ასევე 2018 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე.

სს „კავკასრეესტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 განმარტებითი შენიშვნები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

ვადაგადაცილებული დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით. ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის. ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, კომპანია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი (სახელშეკრულებო ვალდებულებების სახელშეკრულებო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები) შესრულების ვადა იყო ერთი წელი.

ამჟამად, კომპანია გეგმავს ყველა ვალდებულების შესრულებას სახელშეკრულებო ვადით. ასეთი ვალდებულებების შესასრულებლად, კომპანიის მოლოდინის თანახმად, საოპერაციო საქმიანობით მოხდება საკმარისი ფულადი სახსრების შემოდინება.

სს „კავკასრეესტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 განმარტებითი შენიშვნები

ლიკვიდურობის რისკი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები		68,973	-	-	-	68,973
დებიტორული დავალიანება		13,857	-	-	-	13,857
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	5.5%	161,734	-	-	-	161,734
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში					54,085	54,085
სულ ფინანსური აქტივები		244,564	-	-	54,085	298,649
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები		7,740	-	-	-	7,740
სულ ფინანსური ვალდებულებები		7,740	-	-	-	7,740
ლიკვიდურობის პოზიცია		236,824	-	-	54,085	290,909

ლიკვიდურობის რისკი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები		245,066	-	-	-	245,066
დებიტორული დავალიანება		8,126	-	-	-	8,126
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში					54,085	54,085
სულ ფინანსური აქტივები		253,192	-	-	54,085	307,277
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები		10,086	-	-	-	10,086
სულ ფინანსური ვალდებულებები		10,086	-	-	-	10,086
ლიკვიდურობის პოზიცია		243,106	-	-	54,085	297,191

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

წლიურ %-ში	31.12.2018		31.12.2017	
	ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი
ფული და ფულის ექვივალენტები	-	3.25%	-	3.25%
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	-	5.5%	-	0%

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდებლები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებას.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	დებიტორული დავალიანება ლარი	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ლარი	ფული და ფულის ექვივალენტები ლარი	სულ ლარი
აშშ დოლარი	10,780	161,734	36,728	209,242
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,780	161,734	36,728	209,242

ფინანსური აქტივები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

	დებიტორული დავალიანება ლარი	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ლარი	ფული და ფულის ექვივალენტები ლარი	სულ ლარი
აშშ დოლარი	6,543	-	235,674	242,217
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,543	-	235,674	242,217

ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით:

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
აშშ დოლარი	1,455	2,064
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,455	2,064

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც `ანგარიშვალდებული საწარმო~).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(III) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;

(IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

(V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(VI) ამ საწარმოს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;

(VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

სს „კავკასრეესტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 განმარტებითი შენიშვნები

(VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

კომპანიის ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

	31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:		
შემოსავალი:		
ძირითადი აქციონერები	1,805	150
დამფუძნებლის შვილობილი	443	303
სხვა დაკავშირებული მხარეები	4,007	2,918
ხარჯი:		
ძირითადი აქციონერები	685	300
მოთხოვნა:		
ძირითადი აქციონერები	518	170
ვალდებულება:		
ძირითადი აქციონერები	2,375	2,660
	31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი
საქართველოს ბანკში განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთები	14,320	5,155
თიბისი ბანკში განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთები	46,292	125,317
	31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი
საინვესტიციო ჯგუფი "ბიჯეო"-ს ფასიანი ქაღალდები	161,734	-

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

	31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი
ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება		
ხელფასები და პრემიები	41,026	39,413

21. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ამ ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა რომელიც შეიძლება, რომ აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.